სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია — წელიწადი პირველი. — ბრძოლაში ჰპოვებ შენს უფლებას!

შაბათი, 10 აგვისტო 1918 წ.

# შრომა

№ 6

ცალკეული ფასი 40 კაპ.

**კავკასში ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის ბრძოლაა. წალენჯიხის (ზუგდიდის მაზრა) რაიონი ბოლშევიკებს უკავიათ. ბოლშევიკებმა დაიკავეს სენაკის მაზრის ბევრი სოფლები. ერევნიდან ადგილობრივი თათრები იხიზნებიან.**

ორგანო საქართველოში მომქმედ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის ცენტრალურ კომიტეტისა.

**გაზეთის ფასი:** ერთი თვით 9 მან. ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

**განცხადების ფასი:** პირველ გვერდზე პეტიტით სტრიქონი 1 მან., მეოთხეზე 80 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: *Тифлисъ, Контора Газ. „Шрома", Чавчавадзевская ул. Софійская школа.* სხვა მისამართით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადი მოლაპარაკება შეიძლება 10—11 საათამდე.

**რედაქციის მისამართი:** *Тифлисъ Редакція газ. „Шрома" Чавчавадзовская ул. Софійская школა.*

ექიმი ი. კ. აბაკელია

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულ-მკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების, აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.

ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჰლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½—6 საათამდე.

პეტრე დიდის ქუჩა № 26.

## ქ. თბილისი, 10 აგვისტო.

ეროვნულმა საბჭომ უკვე მიიღო კანონი, რომლის ძალით ეროვნულ უმცირესობათ ეძლევათ უფლება საბჭოში თავისი წარმომადგენლები იყოლიონ.

ის კამათი, რომელიც გაიშალა საჩხერის ამბების შესახებ ეროვნულ-დემოკრატების შეკითხვის გარშემო, ნათლად გვიჩვენებს, რომ ზემოხსენებული კანონი სავსებით ვერ სწყვეტს საკითხს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ. კამათში გამოირკვა, რომ ახალსა და ძველ საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, და მათი ცხოვრების მოსაწესრიგებლათ აქვს სხვა და სხვა საშუალება, დიამეტრალურად საწინააღმდეგო ზომები. ზოგი ჭირი მარგებელიაო, ნათქვამია. სწორედ ეს გამართლდა ამ კამათში. მართალია ეროვნულ-დემოკრატებმა აქ დამნაშავის სკამზე მხოლოდ ოსები დასვეს, მაგრამ ყველა ეროვნულ უმცირესობათათვის აშკარა შეიქნა, რომ მხოლოდ ახალი საქართველო, მხოლოდ მისი დემოკრატია არის დაინტერესებული უზრუნველჰყოს ეროვნულ უმცირესობათა თავისუფლება და დაიცვას ისინი ყოველგვარ ძალადობისა და უსამართლობისაგან. აქ ერთი მეორეს შეებრძოლა ერთის მხრით ფეოდალურ-რეაქციონური არისტოკრატია, რომელსაც ცეცხლითა და მახვილით სურს უპასუხოს ეროვნულ უმცირესობათ, და მეორეს მხრით მოწინავე რევოლიუციონური დემოკრატია, რომელიც ძმურ ხელს უწვდის ეროვნულ უმცირესობათ და მათ საქმეს საკუთარ საქმეთ სთვლის. ფეოდალურმა საქართველომ თავისი შოვინისტური გამოსვლით მკაფიოდ უთხრა ჩვენში მოსახლე პაწია ერებს, თუ ვინ არის მათი მტერი!

ამ კამათიდან ჩვენში მოსახლე ერებმა ნათლად დაინახეს რომ მათი საიმედო მეგობარი მხოლოდ დემოკრატია არის, რომ ნაციონალიზმისა და შოვინიზმის გამარჯვება მათი სიკვდილია!.

ასეთი მდგომარეობა ბევრს გვავალებს. ჩვენ წინ ისმება ფრიად მნიშვნელოვანი **ეროვნული საკითხი საქართველოში.**

ასი წლის ტანჯვა-დამცირებაში ჩვენმა დემოკრატიამ სავსებით შეიგნო, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეს საკითხი რადიკალურად უკვე გადაწყდა **საქართველოსათვის**. დღეს ის უნდა გადაწყდეს **თვით საქართველოში.**

ჩვენი დემოკრატია ვალდებულია უდიდეს ყურადღებით და პატივისცემით მოეპყრას უმცირესობათა ეროვნულ ინტერესებს. ყოველ მოუფიქრებელ ნაბიჯს და უხეშ ზომებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს აქ რევოლიუციის მოპოებათა განმტკიცების საქმეს.

ჩვენი დემოკრატია ვალდებულია საქმით დაამტკიცოს, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებით მას არ შეუცვლია ინტერნაციონალის დროშა ნაციონალისტურ დროშაზე!. ჩვენ უნდა დაუმტკიცოთ საქართველოში მოსახლე პაწია ერებს, რომ ჩვენს დემოკრატიას არა აქვს საკუთარი და სხვისი საქმეები, არამედ მას აქვს **ერთი საერთო საქმე**; ეს არის ყველა ერების დემოკრატიის ბედნიერება და სოლიდარობა!...

ჩვენმა დემოკრატიამ საქმით უნდა დაამტკიცოს, რომ ეროვნული საკითხის გადაჭრა მას ესმის, როგორც ეროვნული ინდივიდუალობის სრული უზრუნველყოფა და საერთო პოლიტიკური თავისუფლების განსამტკიცებლათ უძლიერესი ზრუნვა...

## ბაქო.

ბაქო დიდი სამრეწველო ცენტრია. ამიტომ ბაქოთი მეტად დაინტერესებულია რუსეთი. ეხლანდელი ბრძოლა ბაქოსათვის არ არის ბრძოლა ბოლშევიკებიკონტრ-რევოლიუციონერებთან, ეს ეკონომიურ ნიადაგზე აღმოცენებული ბრძოლაა. ბაქოს რუსეთისათვის განუსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს, როგორც სამრეწველო ცენტრს. თითქმის არც კი შეუძლია უბაქოოთ რუსეთს არსებობა. ცენტრალური რუსეთი, ველიკოროსია, მეტად კრიტიკულ მდგომარეობაშია, მას ირგვლივ ყოველივე სასიცოცხლო საშუალება შემოაცალეს. დარჩა ჩონჩხი, რომელიც უსათუოდ უნდა განადგურდეს სავსებით, თუ შექმნილ მდგომარეობას ახლო მომავალში თავი არ დააღწია. მე გელაპარაკებით მოსკოვის რუსეთის პოლიტიკურ კრიზისზე კი არა, მის ეკონომიურ სიკოტრეზე. სამხრეთით უკრაინა აწვდიდა პურს, ჩრდილოეთით აუარებელი თევზი მოქონდა თეთრ ზღვიდან: ტრესკა, სელდი და სხვა, ციმბირით ოქრო და სხვა მადნეულობა, ბაქოდან ნავთი. ცენტრალურ რუსეთში მხოლოთ პოლიტიკა იქმნებოდა. დღეს ნივთიერი სახსარი მოისპო, წყაროები დაიკეტა და ლამის ველიკოროსიას სული ამოხდეს.

ამ კრიტიკულ მდგომარეობის ოდნავ მაინც შესამსუბუქებლათ დანგრეულმა რუსეთმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალღონე და ბაქოს დაცვას შეუდგა: აქ როგორც ვსთქვით, პარტიული ინტერესები არ მოქმედობს. ბაქოს ოპერაცია რუსეთის მრეწველობის ინტერესებითაა გამოწვეული.

შესძლებს თუ არა რუსეთი ბაქოს შენარჩუნებას ამას დავინახავთ; ეხლა ერთი კი ცხადია; ბაქოს ფრონტი პირველ ხარისხოვანი ფრონტია. ამ ფრონტზე გადაწყდება აღმოსავლეთის საკითხი. ეს პუნქტი ღენერალურია. ბრძოლაც ღენერალური იქნება. ბრძოლის ხასიათს კიდევ ის ართულებს, რომ მარტო ოსმალეთისა და რუსეთ შორის არ მოხდება შეჯახება ბაქოსათვის. გერმანია და ინგლისი აგრეთვე მეტად დაინტერესებულია ბაქოთი. ჩვენ ვიცით კოლონიალური პოლიტიკა ინგლისელების, ვიცით, თუ რა განმანადგურებელი ხასიათისაა იგი. მაგალითისთვის მოიგონეთ ეგვიპტე. ვიცით აგრეთვე, რომ სპარსეთის ნაწილი ინგლისის გავლენის ქვეშ იყო და მის გადაყლაპვაში ინგლისი და რუსეთი ერთიმეორეს ეჯიბრებოდენ. ინგლისი კოლონიებით ცხოვრობს. ამ სახელმწიფოს პერიფერიები არჩენს.

თუ მოვიხსენებთ ყოველივე ამას: ინგლისის რეალურ კალონიალურ პოლიტიკას, მის გაუმაძღრობას, მტაცებლობას, ადვილი წარმოსადგენი და გასაგები იქნება, თუ რატომ მიიტანს ინგლისიც სასტიკ იერიშებს ბაქოზე. გერმანია ამ მხრივ ნაკლებ საშიშროებას არ წარმოადგენს ბაქოსათვის. გერმანია, წინააღმდეგ ინგლისისა უმთავრესათ ცენტრით ცხოვრობდა. გაიზარდა და გაფართოვდა მისი ცენტრალური მრეწველობა და ვერ დაეტია მის კანში. ახლო აღმოსავლეთიდან ის გარიყული იყო. უამისოთ ცხოვრება კი მას არ შეეძლო, რადგან იმპერიალისტებისათვის აუცილებლათ საჭიროა ისეთი ქვეყნები, სადაც მრეწველობა დაცემულია და სადაც შემოტანილს კაპიტალს ადგილობრივი კონკურენციას ვერ უწევს. ამიტომ ეტანება კაპიტალი უმთავრესათ აუღებელ, ველურ ქვეყნებს. ამ შემთხვევაში როგორც გასაღები აღმოსავლეთის, ბაქო გერმანიისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ოსმალეთის ინტერესები ხომ სულ განუყრელია ბაქოსაგან, ჯერ ერთი ბაქო ადერბეიჯანის სატახტო ქალაქი და ადერბეიჯანს, როგორც მუსულმანებით დასახლებულს, ოსმალეთის თავის სისხლათ და ხორცათ თვლის და არ სურს განშორდეს მას. ასეთი პანისლამისტური მიდრეკილება მუდამ ქონდათ და ეხლაც აქვთ ოსმალებს. როგორც სჩანს, ოსმალოები ბაქოს იოლათ არ დათმობენ, არც ინგლისი და გერმანია მოაკლებს თვის ყურადღებას. გერმანია კი ოსმალეთის მოკავშირეა და... შესაძლებელია ბაქოს ნიადაგზე მათ შორის დიდი განხეთქილება, კიდევ მეტი—შესაძლებელია იარაღითაც შეუტიონ ერთი მეორეს, თუ ოსმალეთი ასეთ ნაბიჯს არ მოერიდა საჭიროების დროს. ცხადია ბაქოს ამბები მეტად დიდ მნიშვნელოვანი იქნება.

ის.

## პარლამენტის გარშემო

6 აგვისტოს სხდომა.

**სოც.-დემოკრატები და ეროვნულ დემოკრატები.**

ჩვენს პარლამენტში 6 აგვისტოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი ბ. ვეშაპელის შეკითხვის შესახებ. ამ შეკითხვაში ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის წარმომადგენელი საჩხერის ამბებში უმთავრეს ბრალს სდებდა ოსობას და მოითხოვდა მთავრობისაგან, რომ მას მიეღო სასტიკი ზომები ოსური მოძრაობის წინააღმდეგ და ჩანასახშივე ჩაეკლა იგი. საბუთები ბატონ ვეშაპელს თითქმის სულ არ აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ თითო-ოროლა ოსს მართლაც მიუღია მონაწილეობა, მაგრამ ეს ხომ საბუთი არაა იმის დამამტკიცებელი, რომ ოსობა, როგორც ერი, იბრძვის დემოკრატიულ მთავრობის წინააღმდეგ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის დასანგრევათ. არსებითათ საკითხს ქვევით შევეხები. ჯერ მსურს მკითხველს კამათის შთაბეჭდილება გაუზიარო. ერთი მოაზროვნე ამბობს: ის, ვინც მუდმივ წვრიმალ საგანს ეხება და მასთან აქვს საქმე, თვით წვრილმანდება, თუნდაც ის მეტად დიდი პიროვნება იყოს. ამიტომ მართალი იყო ბ. კ. წერეთლის განცხადება საპასუხო სიტყვაში, რომ სუსტი მოპირდაპირე, ოპოზიცია აწვრილმანებს მუშაობას, უკარგავს მას აზრსა და ხალისს. ტრაღიკულია ჩვენი, ს.-დ. მდგომარეობა, ამბობს წერეთელი, რადგან ჩვენ ბედმა გვარგუნა ასეთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა, როგორიც არიან ეროვნულ დემოკრატები, რომლებსაც არ აქვთ არავითარი პოლიტიკური ტაქტიკა და ელემენტარული შეგნება სახელმწიფოებრივობისა. მოყავს მაგალითი. ევროპაში არც ერთ მემარჯვენე და ლიბერალურ პარტიას არ მოუა თავში საჯაროთ პარლამენტში რომელიმე მოძრაობა, ეროვნულ მოძრაობათ მონათლოს, როდესაც ეს მოძრაობა მის წინააღმდეგაა მიმართული, თუნდაც ეს მოძრაობა მართლაც ეროვნული იყოს. ირლანდია აჯანყდა, მაგრამ ლიბერალები მას კერძო ჯგუფების მოქმედებას აწერდენ. ასე იქცევიან ნაციონალისტური პარტიებიც კი, როდესაც ისინი თვისი ვიწრო ნაციონალისტური მიზნებიდან გამოდიან. ამას მოითხოვს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ტაქტი.

ჩვენი ნაციონალისტები კი მოკლებული არიან ამ ტაქტს. მეტი საბუთი წერეთელს მათ წინააღმდეგ არ მოუყვანია. კამათი ცუდ შთაბეჭდილებას ახდენს, რადგან მოკლებულია არგუმენტაციის ძალღს. ვსთქვათ, ოპოზიცია სუსტია, მას არა ყავს იდეურათ და პრაქტიკულათ მომზადებული პირები, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ თვით საკითხი, რომელიც ეროვნულ დემოკრატებმა წამოაყენეს წვრილმანი იყო თავისთავათ ან და იმ სახით რა სახითაც ის პარლამენტის ტრიბუნაზე გამოიტანეს მათ.

ჩემის აზრით, პარლამენტში არგუმენტებით უნდა იყოს შეჯიბრება და ბრძოლა და არა მხილებით: თქვენ ასეთები ხარ, თქვენ ისეთები ხართ. პარლამენტი უზენაესი ტაძარია, სადაც უნდა ჩალაგდეს თავის კალაპოტში და ჩამოყალიბდეს უფაქიზეს ფორმებში ცხოვრების ყველა დარგი, პარლამენტი ამგვარათ ცხოვრების რეგულიატორია, ამიტომ მიზანშეწონილობა მოითხოვს მისი მოღვაწეობა მტკიცე საფუძველზე—რაციონალურ არგუმენტებზე ეყრდნობოდეს. ამ მხრივ იდეური შეჯიბრება—კამათი ჩვენ პარლამენტში მე სრულებით არ მაკმაყოფილებს, ამიტომაც, ბ. კ. წერეთელის სიტყვის არ იყოს, კამათი ყოველივე ინტერესს მოკლებულია.

მაგრამ ამაში მარტო ეროვნულ-დემოკრატები არ არიან დამნაშავე, როგორც ეს წერეთელმა განაცხადა. სხვასაც უდევს წილი.

ახლა ორიოდე სიტყვა არსებითად. ეროვნულ-დემოკრატების აზრით, ოსობა გვებრძვის. მას სურს ჩვენი დამოუკიდებლობა დაამხოს. ვნახოთ რამდენათ შეეფერება ეს სინამდვილეს. ეს საკითხი შეგვიძლია გავაშუქოთ ჩვენ როგორც თეორეტიულათ, ისე პრაქტიკულათ. და თუ ჩვენ გვინდა, რომ ეს გაშუქება სრული იქნეს, სწორეთ ორივე მხრით უნდა მიუდგეთ მას. როგორც ვიცით, ყოველივე სოციალურ ჯგუფს, თუ კლასს თავისი იდეოლოგია აქვს. ამ იდეოლოგიას ის იხმარს თვისი არსებობის შესანარჩუნებლათ და განსამტკიცებლათ. თავის იდეოლოგიას თვითეული მათგანი მეცნიერულათ ნათლავს. მით მას სურს ზნეობრივათ გაღონიერდეს, აჩვენოს მოწინააღმდეგეს, რომ მისი მოქმედება მეცნიერებისაგან ნაკურთხია და მომავალი მისია. ამ მიზნით ბურჟუაზიამ შექმნა მთელი რიგი ბურჟუაზიულათ მოაზროვნეთა, შექმნა თვისი იდეოლოგია და ის მეცნიერებათ მონათლა. ეს იდეოლოგია კლასთა ბრძოლის თეორიას, მუშათა კლასის ინტერესს და სოლიდარობის აღიარებას უტოპიათ სთვლის.

სამაგიეროთ, ის ამტკიცებს, რომ არ არსებობს ინტერესთა წინააღმდეგობა ბურჟუასა და მუშას შორის. ეს მტკიცება მისი კლასიური მდგომარეობის განსამტკიცებლათ ხელსაყრელია. მთელი რიგი ბურჟუაზიულ ეკონომისტთა ამტკიცებს ბურჟუათა და მუშების ინტერესთა ჰარმონიას. ასე იქცევა ბურჟუაზია სადაც მას მოუხდება, მაგრამ სადაც მას ეს ავნებს იქ კი წინააღმდეგ ამტკიცებს. ჩვენ ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცით, რომ ერის უმრავლესობას მშრომელი ხალხი შეადგენს, ისიც ვიცით, რომ სხვადასხვა ერის მშრომელთა ინტერესები სოლიდარულია. ამიტომ მათ შეკავშირებას თვით მათი ინტერესები მოითხოვს, რომ ამ შეკავშირებას ხელი შეუშალოს, ბურჟუაზია ეყრდნობა ეროვნულ სხვადა სხვაობას და მშრომელი ხალხი გამთიშველ პოლიტიკას აწარმოებს. აქედან იბადება ვიწრო ნაციონალისტური, შოვინისტური პოლიტიკა ბურჟუაზიულ პარტიებისა. ასეთია წყარო ჩვენი ეროვნულ-დემოკრატების პოლიტიკისაც.

შეიძლება თუ არა ოსების მოძრაობას ეროვნული, ხალხური მოძრაობა უწოდოთ? რასაკვირველია, არა, თუნდაც ამ მოძრაობაში მთელი ოსის ხალხი იღებდეს მონაწილეობას. გასარკვევია აქ ორი რამ. მოძრაობა შემოტანილი, ნაძალადევი, მექანიური და მოძრაობა თვით ხალხის წიაღში დაბადებული ხალხის სულიდან აღმოხეთქილი. პირველი მოძრაობა შესაძლოა მასიური იყოს, მაგრამ არა ხალხური, ე. ი. არა ხალხის ინტერესებით გამოწვეული და მის კეთილდღეობის განსამტკიცებლათ მიმართული. შეიძლება მოძრაობა გარეგნული სახით, ფიზიკური შემადგენლობით, ნაკლები მასიური იყოს, მაგრამ ნამდვილი ეროვნული, ხალხური, როდესაც ეს მოძრაობა დემოკრატიის ნამდვილი ინტერესების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნათ. ნათქვამიდან, აშკარაა, რომ ჩვენ როდესაც მოვლენას ვარკვევთ და ვაფასებთ, მის შინაგან, არსებით მხარეს უნდა მივაქციოთ ყურადღება და მით ვიხელმძღვანელოთ მისი კლასიფიკაციის დროს. ეს მეცნიერული მსჯელობის ელემენტარული ჭეშმარიტებაა.

ამ საერთო მსჯელობის შემდეგ ჩვენ უფრო კონკრეტათ დავსვამთ საკითხს. ოსების ინტერესები მოითხოვს თუ არა ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ გალაშქრებას? არა. და აი რატომ. დემოკრატიული მართვა გამგეობის მიუცილებელი თვისებები ჩვენ ვიცით. ვიცით, რომ მისთვის არ არსებობს „იუდეველი და ელინი“, რომ ყველა ერის დემოკრატიის ინტერესებს ერთნაირათ იცავს. ამიტომ ქვია მას დემოკრატიული წყობილება და თუ ოსები ჩვენ დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ წავლენ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ოსობა თავის წინააღმდეგ მიდის ასეთ ნაბიჯს კი არცერთი ჭკუათ მყოფი არ გადადგამს და არ გაითხრის საკუთარი ხელით თვის სამარეს. ამ მოსაზრებით ოსების მოძრაობას არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო ხალხური მოძრაობა ყოფილიყო.. რომ ჩვენში არა ხალხური წესები იყოს გამეფებული, მაშინ ხალხური მოძრაობა მის დასამხობათ გასაგები და შესაძლებელიც იქნებოდა. ვიმეორებ, არ ქვია ხალხური მოძრაობა მასის შეუგნებელ აბობოქრებას თვისივე ინტერესების წინააღმდეგ. ეს უფრო გასაგები იქნება, თუ ჩვენ ვიწრო კუთხურ თვალსაზრისიდან გადავალთ ფართო საერთაშორისო თვალსაზრისზე. თეორიულათ ჩვენ დავამტკიცეთ, რომ იმ პირობებში, რომელშიდაც ოსები იმყოფებიან ჩვენში, შეუძლებელი იყო ნამდვილ ეროვნულ, ხალხურ მოძრაობას ქონოდა ალაგი, მოძრაობას გამოწვეულს ხალხის შინაგანი შემეცნებით. თუ სინამდვილეს გავხედავთ, როგორც გამოირკვა ხსენებულ სხდომაზე ახსნა-განმარტებებიდან, დავინახავთ, რომ არც მექანიურ მასიურ გამოსვლებს ქონია ალაგი საჩხერის რაიონში. ყოფილა კერძო პირები ოსები, რომლებსაც მონაწილეობა მოუღია აჯანყებაში, მაგრამ ეს ხომ სრულებით არ ამტკიცებს, რომ ოსობა ჩვენს წინააღმდეგ დაირაზმა. არ გაგება ამისა, შეუძლებელია, მაგრამ თუ ეროვნულ დემოკრატებს მაინც განსაკუთრებული შეკითხვები შემოაქვთ საბჭოში განსაკუთრებული შოვინისტური შინაარსით, ეს აიხსნება მათი კლასიური პოზიციით და თვისი თვალსაზრისით ისინი უაღრესათ მართალი არიან.

ინი.

# პრესა.

ამას წინეთ ჩვენს გაზეთ „შრომაში“ ვსწერდით: „მიწის საკითხის გადაჭრის დაგვიანების უმთავრესი მიზეზი ის გახლავსთ, რომ ხელმძღვანელმა პარტიამ სოც. დემოკრატიამ არ იცის როგორ გადასჭრას აგრარული საკითხიო.“ რომ ჩვენი აზრი მართალი იყო ეს იქიდან სჩანს, რომ მიწის საკითხმა ძალზე არია სოც. დემოკრატიული მონასტერი.

ჩვენ უკვე მოვისმინეთ რამდენიმე პროტესტანტის წერილი ერთობიდან, რომლებიც დიდს უკმაყოფილებას გამოსთქვამდენ მიწების გლეხებზე კერძო საკუთრებათ მისყიდვის განზრახვის თაობაზე. ამავე საკითხს ეხება გუშინდელ გაზ. „ერთობაში“ მუშა ბ. შერთულისპირელი. ის სამართლიანად აღნიშნავს, რომ მიწების კერძო საკუთრებით გადაცემა ვერ მოსპობს ანარქიას. პირიქით, პროვოკატორები უფრო მეტს მასალას იხელთებენ მთავრობის წინააღმდეგ და ანარქიაც უფრო გაძლიერდება.

„მაშასადამე ანარქიიხგან ის კი ვერ გვიხსნის, რომ გლეხებს მიწები კერძო საკუთრებათ დაურიგოთ და, ისიც სასყიდლათ, რადგან პროვოკატორებს მეტი მასალა მიეცემათ:

არიქა მთავრობა ფულს გახთევინებს მიწებში და ფულით ხომ ძველათაც შეგეძლოთ გეყიდათ მემამულეთაგანო—ეტყვის პროვოკატორი უპატრონოთ მიტოვებულ შეუგნებელ გლეხს, თუ ჩვენ მათში მუშაობა არ გავაჩაღეთ. დავთანხმდეთ იმას, რომ გლეხებს მიწები კერძო საკუთრებათ შევასყიდოთ. მერე რა ფასებში? როგორც ვიცით ჩვენს ახლათ დაარსებულ რესპუბლიკას აუარებელი ხარჯები აქვს და შემოსავლის წყარო კი ჯერ-ჯერობით ცოტაა და საჭიროა შემოსავლის ცოტა ნაწილი ჩამორთმეული მამულებიდან დაკმაყოფილდეს. ვიცით აგრეთვე დღეს ფულის კურსი ძალზე დაცემულია, ვერაფერს ისე ვერ იყიდი, რომ მანეთი სამ კაპეიკ ზევით ფასობდეს და ზოგიერთ საგნებზე ორი კაპიკის საქმესაც ვერ აკეთებს. ასეთ მდგომარეობაში მიწებს ყიდი გლეხებზე, ფულს ახდევინებ და პირდები ეს ფული ისევ მას მოხმარდება: სკოლები. გზები, ხიდები, და სხ. ერთი სიტყვით, რაც საჭიროა გლეხისთვის—ყველა მისი მოთხოვნილება უნდა დააკმაყოფილო. რისთვისაც საჭირო არის რამოდენიმე ათეული მილიონები. დღეს რომ რომელიმე სოფელში ერთი სასკოლო სახლი ააგო, იგივე სოფლელი გლეხი უნდა ამუშაო ზედ, რომელიც გადაგახთევინებს არა ნაკლებ დღეში 30 მანეთისა და თუ რამე უთხარი ხელათ გიპასუხებს ფულის კურსი დაცემულიაო, მაგრამ სულ სხვანაირად მსჯელობს ის, როდესაც შენგან ყიდულობს: თუ წინათ 300 მანეთად შეიძენდა ერთ დესეტინა მიწას და თუ შენ ეხლა მეტი გადაახდევინე გეტყვის: სპეკულიანტი ყოფილხარ, ამ ფასებში ამილახვარიც მომყიდდაო, მას თავისებური ბუხგალტერია აქვს, თუ მისგან ყიდულობ ბევრი უნდა მისცე, რადგან ფულის კურსია დაცემული და თუ შენგნით ყიდულობს და მეტი გადაახდევინე სპეკულიანტი ხარ და მით უმეტეს თუ სახელმწიფოსგან ყიდულობს. მე როგორც გლეხებში მომუშავეს და მათთან დაახლოვებულს ხშირათ მაქვს ხოლმე მათთან ლაპარაკი ამ საგანზე. იყო ასეთი შემთხვევა: ვეკითხები გლეხს, თუ რამდენს ახთევინებდა წინეთ მემამულე დესეტინაზე, ოც ფუთსო მიპასუხა, ეხლა რომ ხუთი ფუთი გადაგახდევინოს მთავრობამ რას იტყვი? ძლიერ სამართლიანი იქნებაო, მიპასუხა. თუ ფულს აძლევდით რამდენს გახთევინებდათ? ათიდან თუთხმეტ მანეთამდის. დღეს რამდენი იქნება კანონიერი ფულათ რომ გადაგახთევინოსთ მთავრობამ? 7-დან 10 მანეთამდის, იყო პასუხი. ვეკითხები კიდევ პური როგორ იყიდება ფუთი? 60 მანეთი. ასეთია ჩვენი გლეხის ანგარიში, თუ ფული გადაახთევინე 15 მანეთს მოგცემს დესეტინაზე, თუ ხორბალი —300 მანეთს,

ცხადია ასეთ პირობებში გლეხს ვერ მიყიდი მიწას, ვერც იჯარას გადაახთევინებ ფულათ დღეს მხოლოდ ხორბალი უნდა გადაახთევინო იჯარათ და ისიც არა ფულათ არამედ ხორბალი, მხოლოდ იმაზე ყაკლები, რასაც მემამულე ახდევინებდა.

ყველა ზევით ჩამოთვლილი მიზეზები მე მგონია საკმარისია, რომ ჩვენი მთავრობა დაფიქროს და ისეთი კანონი არ გამოცეს მიწების შესახებ, რომელიც ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნება ე. ი. ანარქიას კიდევ უფრო გაძლიერებს, და თუ ამას დაუმატებთ კიდევ ჩვენს პრინციპიალურ შეხედულებას აგრარულ საკითხზე, მოვიგონებთ ჩვენი პროგრამის იმ მუხლს, სადაც ჩვენ მოვითხოვთ მიწების მუნიციპალიტეტებზე გადაცემას, და არა კერძო საკუთრებათ დარიგებას, მაშინ მე მგონი დიდი ფიქრი აღარ იქნება საჭირო, რომ ეს კითხვა როგორც კერძო საკუთრებათა გადაცემის კითხვა —უნდა მოიხსნას დღის წესრიგიდან.“

ასეთია ს.-დ. მუშის გულწრფელი აღსარება. ეს აღსარება დამაფიქრებელია. მალე დავინახავთ, თუ რამდენათ აქვს მას ფასი სოც.-დ. პ. ხელმძღვანელთათვის.

# იოსებ გოგელიას სიტყვა

(წარმოთქმული მთავრობის დეკლარაციის საპასუხოთ).

მოქალაქენო! ეროვნულ საბჭოს წევრნო!

მეტად მძიმე და საპასუხისმგებლო პოლიტიკურ მომენტში გვიხდება გამოსვლა.

რუსეთის დემოკრატია, როგორც ერთსულოვნობის, მთლიანობის მატარებელი ძალა, აღარ არსებობს. ის ლამაზი, წარმტაცი იმედები, რომელიც ჩვენ გვასულდგმულებდა დაიმსხვრა და მიიფერფლა და დღეს, როდესაც ჩვენ, გარშემორტყმულნი იმპერიალისტური სახელმწიფოებით, ვდგევართ ადგილობრივ მწვავე საკითხების წინაშე, ჩვენ, ადვილი შესაძლებელია, ვეღარ ვაწარმოოთ ის პოლიტიკა, რომელიც დემოკრატიის გულიდან იყო აღმონახეთქი.

ჩვენს ახალ პოლიტიკას გარკვეული, მტკიცე საზღვრები უნდა დაედვას. მთელი ჩვენი ცდა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ ჩვენი რევოლიუციონური დემოკრატია ვიხსნათ საშიშ და უნუგეშო მდგომარეობისაგან.

თუ ასეთი თვალსაზრისით შეუდგებით ჩვენი დროებითი მთავრობის დეკლარაციის განხილვას, ჩვენ ჯეროვანი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ საერთაშორისო მდგომარეობას. საგარეო პოლიტიკის წარმოებაში დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გვმართებს. ჩვენი მოვალეობაა სავსებით დავიცვათ ჩვენი მუდმივი ნეიტრალიტეტი, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ერი მსოფლიო ომის ქარტეხილს ავაცდინოთ და მისი ფიზიკური ძალა მის სამშობლოს დაცვას და შინაურ საქმეების მოგვარებას მოვახმაროთ.

ჩვენ ყურადღებას იპყრობს მთავრობის დეკლარაციის ის ადგილი, სადაც ნათქვამია საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სხვადასხვა მობინადრე ერების უმცირესობათა მოქალაქობრივ უფლებების შესახებ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა შესაფერ პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმას არ დააყოვნებს.

განსაკუთრებულ ყურადღების ღირსია მთავრობის დეკლარაციის ის ადგილი, სადაც ის ეხება და ითვალისწინებს ჩვენი მომავალი ცხოვრების ეკონომიურ მხარეებს.

ჩვენ გვწამს, რომ სახელმწიფოს არსებობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენათ ის ხალხის სურვილების და მიდრეკილებათა გამომხატველია. ჩვენი ერის უმრავლესობას მშრომელი გლეხკაცობა შეადგენს, რომელიც მიწის მუშაობას ეწევა. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ის მიწა-წყალი, რომელზედაც ჩვენი მშრომელი ხალხი სასოფლო - სამეურნეო შრომას ეწევა, ამ ხალხის ხელში უნდა დარჩეს. ამ შემთხვევაში იმ საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენ სამშობლოს მოელის, ჩვენ ვალდებული ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რომ ჩვენი მიწა-წყალი ჩვენი მშრომელ ხალხის ხელში დარჩეს. მიწის ყიდვა-გაყიდვა უნდა მოისპოს. ჩვენი ერის სიმდიდრე ყოველი ღონისძიებით დაცულ უნდა იქმნას.

მრეწველობის ინტენსიური განვითარება საუკეთესო გარანტიაა, რომ ჩვენი ერის ინტერესები დაცულ იქნება.

მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები იმ უზომო სიძვირესთან საბრძოლველად, რომლის მოუწესრიგებლობა დიდ საფრთხეს უმზადებს ჩვენ ნორჩ სახელმწიფოს.

საჭიროა ჯეროვანი ყურადღება მიექცეს ჩვენს ფინანსიურ მდგომარეობას. ოქრო და ვერცხლის ფონდის დაარსება აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რადგან ეს შეამცირებს ქაღალდის ფულის სიმრავლეს და რამდენიმეთ ასწევს მანეთის კურსს.

საჭიროთ მიგვაჩნია, რომ მთავრობა ჩაერიოს საზოგადო მრეწველობის ორგანიზაციაში და ზომები მიიღოს, რომ ორგანიზაციულად გააძლიეროს ჩვენი ნორჩი და სუსტი მრეწველობა.

საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს ჩვენ ახალ მრეწველობას, ახალ ინდუსტრიას. ჩვენი მრეწველობის სასურველ ნიადაგზე აღმოსაცენებლათ და ასაყვავებლათ საჭიროა, რომ ჩვენი მხარე უხვად მოეფინოს კომერციულ, ტეხნიკურ და სასოფლო სამეურნეო სასწავლებლებით.

დასასრულ სიამოვნებით უნდა ავღნიშნო, რომ მთავრობის დეკლარაციას ემჩნევა საერთო დემოკრატიული ენა და მაქვს პატივი ფრაქციის მონდობილობით წაგიკითხოთ სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის დეკლარაცია:

სოც.-რევ. ფრაქცია აღიარებს, რომ დიდი საფრთხე მოელის დემოკრატიასა და მასთან მთელ ქართველ ერს.

არ ვიცით, კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება მსოფლიო ომი, ან რა სახით მოეღება მას ბოლო; გარემოებათა მიმდინარეობა ნათელჰყოფს, რომ თანდათან ჩვენ ქვეყანასაც უახლოვდება მისი ალი.

არ ვიცით როგორი ურთიერთობა დამყარდება ჩვენსა და მეზობელ ერთა შორის, ვგრძნობთ კი, რომ დიდი დაბრკოლებანი ელობებიან წინ ჩვენს სახელმწიფოებრივ უფლებათა ცხოვრებაში გატარებას.

ასეთ კრიტიკულ ხანაში თითოეულ პარტიის უწმინდეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს თავს იდვას პასუხისმგებლობა და მონაწილეობა მიიღოს ორგანიულ მუშაობაში; მთელი მისი გეზი იქით უნდა იყოს მიმართული, რომ ახალი ძლევამოსილი სული და ენერგია შთაბეროს ერის შემადგენელ ნაწილთ, რათა მთელი თავისი ძალღონე მოიკრიბოს ხალხმა და გაუმკლავდეს მისი არსებობის წინააღმდეგ მომართულ საფრთხეს.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელი მთავრობა მომენტის სწორეთ ‡ ჯეროვანათ შეფასების მიხედვით არის შედგენილი და ჩვენ მხარს დავუჭერთ მთავრობის ყველა იმ ზომებს, რომელნიც უზრუნველჰყოფენ ერის თავდაცვასა და არსებობას.

ვიღებთ-რა მხედველობაში ზემონათქვამს—ვაღიარებთ, რომ მთავრობის უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს:

შექმნას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისადმი თავგანწირვით განმსჭვალული ძლიერი ჯარი, სამხედრო ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის თანახმად ორგანიზაციულად მოწყობილი; ამასთან ერთად ჩვენი ეროვნული ჯარისკაცი ისე უნდა იწვრთნებოდეს, რომ სრულუფლებიან შეგნებულ მოქალაქეს წარმოადგენდეს თითოეული მათგანი. მეორე მხრით მთავრობამ მიზნად უნდა დაისახოს სახალხო მილიციის სისტემაზე აგებული შეიარაღებული ძალის შექმნა.

მაგრამ ერის არსებობის დაცვას მარტოოდენ შეიარაღებულ ძალას ვერ მივანდობთ; ჩვენი არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი, თუ ჩვენი მთავრობა მეგობრული განწყობილების დამყარებას მოახერხებს ყველა სახელმწიფოებთან და უწინარეს ყოვლისა ჩვენ მეზობელ ერებთან. მაშასადამე, მთავრობა მოვალეა დაუყოვნებლივ მოახდინოს გამიჯვნა და გამოარკვიოს სახელმწიფოებრივი საზღვრები ჩვენსა და ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოთა შორის.

არანაკლები მოვალეობა ეკისრება მთავრობას—მოვალეობა შინაური ცხოვრების მოწესრიგებისა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარა ქართველი ერის სახელმწიფოებრივ წყობილებად;

ასეთი წყობილების საფუძვლის გასამაგრებლად წმინდა დემოკრატიული ერთეულების შექმნა საჭიროთ მიგვაჩნია სოფლად და დაბა-ქალაქებში. ფრაქცია სავსებით გრძნობს ეროვნული საბჭოს შემადგენლობის ნაკლს და ამიტომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის განმტკიცებისთვის საჭიროდ სთვლის დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას ახლო მომავალში დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელ კრების კანონებში დაცული უნდა იყოს რესპუბლიკის საზღვრებში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესები.

დემოკრატიის ძალას უნდა ეყრდნობოდეს სახელმწიფოებრივი წყობილება.

ჩვენი ეკონომიური პირობების მიხედვით კი ასეთ ძალას მიწის მუშა წარმოადგენს. ერის დიდ უმრავლესობას შეადგენს მშრომელი გლეხობა. მთავრობა მოვალეა განამტკიცოს ეს საფუძველი ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკისა. ამ მიზნის მისაღწევად უნდა იყოს მიმართული მთავრობის აგრარული კანონმდებლობა, მან უნდა იზრუნოს მშრომელთა მიწით სარგებლობის უზრუნველყოფაზე; ამავე მიზნის მისაღწევად უნდა გამოსცეს მთავრობამ მიზანშეწონილი კანონები, რომ ხელი შეუწყოს მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვას, მიწაზე იჯარის მოსპობას და ამგვარად მიწაზე კერძო საკუთრების გაუქმებას.

ჩვენ გულახდილად ვაცხადებთ, რომ მიწათმფლობელობის საკითხის გადაჭრით არ სწყდება რადიკალურად საკითხი მიწის მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისა.

დასამუშავებელი მიწა შედარებით მცირე მოიპოვება ჩვენს ქვეყანაში, სამაგიეროდ ბუნებით ძლიერ მდიდარია ეს მიწა.

და ამიტომ მთავრობამ ხელი უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეუწყოს და მიიღოს საჭირო ზომები, რომ საშუალება მიეცეთ მიწის დამმუშავებელთ მაღალი სამეურნეო კულტურის შემოღებით გაიუმჯობესონ თავისი მდგომარეობა. ამ მიზნით მთავრობამ ყურადღება უნდა მიაქციოს სასოფლო სხვადასხვა სამეურნეო კოოპერატივების განვითარებას.

ამ კითხვასთან მჭიდრო კავშირი აქვს ჩვენი ეკონომიური ცხოვრების მეორე მხარეს—ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. ისე შეუძლებელია სახელმწიფოს ნორმალური არსებობა, თუ რესპუბლიკისთვის საჭირო საქონელი მთლად უცხო სახელმწიფოებიდან შემოვიტანეთ. ამიტომ მოვალეა მთავრობა მიიღოს ზომები შინაური ვაჭრობა-მრეწველობის განსავითარებლად.

ახლავე სახელმწიფოს საკუთრებად უნდა გამოცხადდეს ყოველგვარი მადნეულობა, მინერალური წყლები და საწარმოო ძალის გამოსაყენებელი მდინარენი.

მრეწველობის სათანადო განვითარებასთან დაკავშირებულია ქალაქის მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება. სახელმწიფომ უნდა უზრუნველჰყოს მუშები ხელფასის მინიმუმის დაკანონებით, სამუშაო დროის განსაზღვრით, მუშათა დაზღვევით და სხვ...

მთავრობამ უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება ჩვენ ფინანსიურ სისტემას და სიძვირესთან ბრძოლას.

სახელმწიფოს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შემოღებულ უნდა იქმნას პროგრესიული გადასახადი შემოსავლისა და ქონების კვალობაზე.

მთავრობამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს სწავლა-განათლების საქმეს. ამ მიზნით იგი უნდა შეუდგეს დაუყოვნებლივ საყოველთაო და სავალდებულო სწავლების გეგმის შემუშავებას და მის ცხოვრებაში გატარებას; აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დაბალ და საშუალო პროფესიონალურ ტეხნიკურ კომერციულ და სასოფლო-სამეურნეო სკოლების შემოღებას.

დასასრულ ჩვენი, როგორც პატარა ერის, ინტერესები მოითხოვენ მჭიდრო და სოლიდარული კავშირი ვიქონიოთ ინტერნაციონალურ დემოკრატიასთან. ჩვენ ყოველთვის მხარს დავუჭერთ მთავრობას, თუ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი გზას გაგვიკაფავს და დაგვაახლოვებს საერთო ძმობის, ერთობის და თავისუფლების იდეალთა გამარჯვებას.

## უკანასკნელი ცნობები

**კავკავში ბოლშევიკებსა და ყაზახებს შორის ბრძოლა სწარმოებს.**

**ხენაკის მაზრა.**

ბოლშევიკებმა დაიკავეს ს. ცკი და ძველი სენაკი.

**ზუგდიდი.**

წალენჯიხის რაიონი ბოლშევიკების ხელშია და ზუგდიდს უახლოვდებიან. თვით ზუგდიდის აღებას ვერ ბედავენ, რადგანაც ის ძლიერ გამაგრებულია მთავრობის რაზმით.

## ახალი ამბავი.

— **საერობო არჩევნები.** საერობო არჩევნები, რომელიც დანიშნულ იყო თფილისის გუბერნიის სხვა და სხვა მაზრებში 2—4 აგვისტოს, არ შესდგა რადგანაც სოფლებში მუშაობაა.

— **მარილი.** სასურსათო სამინისტროს მიერ ყირიმში ნაყიდი მარილის ერთი ნაწილი, 50 ვაგონი მოვა დღეს 10 აგვისტოს.

— **სამხედრო სასამართლო.** დღეს 10 აგვისტოს ყოფილი სამხ. სასამართლოს შენობაში დილის 10 საათზე გაიხსნება საქართვ. რესპ. ჯარების სამხ. სასამართლოს პირველი საჯარო სხდომა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

— ერევნიდან მოსულ ცნობით, ერევნის თათრები იხიზნებიან ყარსში, სარიყამიში და სხვა რაიონებში.

— როგორც ქუთაისში მოსული ცნობებიდან სჩანს ჯუღაშვილს (სტალინს) არავითარი მოწოდებით არ მიუმართავს რაჭველებისათვის.

— **დატუსაღება.** ს. ქ. ალავერდოვი მილიციის უფროსის ბრძანების შეუსრულებლობისათვის დატუსაღებულ იქმნა 3 თვით.

— **გარნიზონის უფროსმა დაატუსაღა:** „ბოჟე ცარია ხრანის“ მღერისათვის რუსული რაზმის ოფიცერი პრ. გიორგი მაღალოვი. პრ. ბ. ავსიანი და პრ. ცისტოვი. მილიციონრების შეურაცყოფის ათვის პორ. ბარბაქაძე, აფიცრის შეურაცყოფისათვის აფიცერი ვლ. ინასარიძე, თავის ნებით სადარაჯოს მიტოვებისათვის დ. ციბაძე.

— **დაჯარიმება.** ხმოსანი აბაზოვი ეზოს უსუფთაობის გამო დაჯარიმებულ იქმნა 500 მანეთით.

— **დათხოვნა.** უფროსი მილიციონერტერ-აირაპეტოვი თავის ნებით მორიგეობის თავის დანებებისთვის დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან.

— 8 **აგვისტოს** დღის 4 საათზე ბოროტგამზრახველებმა მოინდომეს გენ. მაქსიმოვის სახლის გატეხა. მოსამსახურეებმ მოასწრეს შეტყობინებიათ გარნიზონის უფროსისათვის. მილიციონერებმა მათ სროლა აუტეხეს და ბოროტგამზრახველები მიმალნენ.

— **კრება** კვირას 11 აგვისტოს დილის 11 საათზე ახალ კლუბში შესდგება კრება ქართულ მუსიკალურ საზოგადოების, კრების მიზანია გამგეობის წევრთა არჩევა და მუსიკალური განყოფილების ქუთაისში გახსნა.

— **კვირას**. 10 აგვისტოს ს. წყნეთში გაიმართება მიტინგი, სადაც ეროვ. საბ. სასოფლო კომისია გზავნის თავის წარმომადგენელს.

## სოფლად და ქალაქად.

**ქუთაისი.**—შავი ქვის მრეწველთა საბჭომ დაადგინა მოიწვიოს 15 აგვისტოს ქუთაისში მრეწველების არაჩვეულებრივი ყრილობა, მრავალი საკითხების გამოსარკვევათ.

— ქუთაისში აბრეშუმის პარკის ფასი ავიდა 200 მანეთამდე. ასეთ მაღალ ფასების გამო მყიდველები ძალიან ცოტაა, ხონში სენაკში და სხ. ფასი დაეცა 70 მ.

— მიმწოდებელ კომიტეტის თავმჯდომარეთ არდიშვილის მაგიერ დანიშნულია ს. ი. ჯაფარიძე.

— **ხონი.** ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა მიიღოს ყოველივე ზომები რკინის გზის გასაყვანათ მამისონის უღელტეხილზე.

— **დ. ნაოღალევში** მოუკლავთ ექიმი იასონ ჟორდანიას მოსამსახურე კაცი.

**მიზეზი** მკვლელობისა როგორც გადმოგვცემენ შემდეგია: ბოროტ-მოქმედ განუზრახავთ ექიმი-ჟორდანიას მოკვლა, რომელიც ქუთაისში ცხოვრობს და დაუვალებიათ მოსამსახურესთვის შეეტყობინებია ექიმის ჩამოსვლა მათთვის, მაგრამ ეს მსახურს არ შეუსრულებია და სამაგიეროდ ის მოკლეს.

ნაოღალეველი.

## დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო ტფილისი 8 აგვ.)

**მოსკოვი** — ტაშკენტიდან — ლენინს. ორენბურგის ფრონტზე ორსკის მხრით მივიწევთ წინ. არის ცნობები, რომ ბოლშევიკების ჯარის ნაწილები მიიწევენ ორენბურგისაკენ ცერიმის შოსეთი აკტიუმინის მთავარ ხაზით. ჩვენი მხრით წინსვლა ფერხდება სამხედრო მასალის უქონლობის გამო. სემირეჩიეში ვიმარჯვებთ. ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ ჩვენ ასხაბადის ფრონტზე, სადაც მოწყვეტილი ვართ კრასნოვოდსკს და ბაქოს, რის გამო არა გვაქვს ნავთი. მაგრამ ამ ფრონტზედაც ჩვენი ჯარების მოქმედება წარმატებით სწარმოებს. ვიმეორებ, რომ იყოს საკმაო სამხედრო მასალა ჩვენ გავიმარჯვებდით. ნავთის მოზიდვა, ბრძოლის გამო ასხაბადის ფრონტზე, შეუძლებელია. საჭირო იყო, რომ დაგვეწყო შეტევა კრასნოვოდსკზე ზურგიდან. გადაეცით ეს ბაქოში, რადგან მოლაპარაკებას ჩვენ მათთან ვერ ვაწარმოებთ. როგორი მდგომარეობაა ასხაბადში და კრასნოვოდსკში დაწვრილებით არ ვიცი. ბაქოელებს შეატყობინეთ რუსეთის საერთო მდგომარეობა. როგორია საერთო პერსპექტივები?

(დეპეშა ხელმოუწერელია).

**მოსკოვი**, 7 აგვ. სამხედრო კომისარ ტროცკის განკარგულებით დააპატიმრეს არხანგელსკის დეპუტატთა საბჭოს ის წევრები, რომლებმაც არ გაუწიეს ენერგიული წინააღმდეგობა ინგლისელებს დესანტის გადასმის დროს და გაიქცენ შუა გულ რუსეთში.

## ო მ ი.

**ბერლინი** 8 აგვისტო. ომის ცნობა.

**დასავლეთის ფრონტი.** კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. ლისის ორივე ნაპირებით ჩვენ მოვიგერიეთ ინგლისელების იერიშები. სომის ჩრდილოეთით მტერმა მოიტანა ძლიერი კონტრ-იერიშები ჩვენ ახალ პოზიციების წინააღმდეგ, მაგრამ იერიშები მოვიგერიეთ. მონდიდურის დასავლეთით მტრის იერიშები უშედეგოთ დამთავრდა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. სუასსონისა და რეიმსის შუა საარტილერიო ბრძოლა ძლიერდება დროგამოშვებით.

**ვენა** 8 აგვისტო. იტალიის ფრონტზე მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა.

## უცხოეთი.

**საფრანგეთის სოციალისტები.**

პარიზიდან მოსულ ცნობებით საფრანგეთის სოციალისტები მოითხოვენ, რომ აუცილებლათ გამოქვეყნებულ იქნეს ომის მიზნები, რადგან ცენტრალურ სახელმწიფოებში განმტკიცებულია ის აზრი, რომ გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლი კოალიცია აწარმოებს ომს მხოლოდ ერთად ერთი მიზნით—გერმანიის საბოლოო მოსასპობათ.

**ინგლისის გემების ჩაძირვა.**

ინგლისის საადმირალო უწყების ცნობით ბრიტანეთის ორი ნალმოსანი დაეჯახა მტრის ნაღმებს და ჩაიძირა, დაიღუპა 97 კაცი.

**გემი „ვარილდას“ დაღუპვა.**

სატრანსპორტო გემი „ვარილდა“ წყალთა წვით 7,713 ტონით ჩასძირა წყალქვეშა ნავმა. დაიღუპა 123 კაცი. „ვარილდა“ ეკუთვნოდა კომპ. „ადელაიდას“. (გერმ. ფირმა).

**დემონსტრაციები იტალიაში.**

მილანში და ტურინში მოხდა მუშების არეულობა და დემონსტრაცია ომის წინააღმდეგ.

**იტალია და ცენტრალური სახელმწიფონი.**

გერმანული გაზეთი „Hamb. Frembenblett“-ი, რომელსაც მრავალ-რიცხოვანი მკითხველთა წრე ჰყავს თავის სამშობლოში, გამოსთქვამს თავის შეხედულებას იმის შესახებ, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იტალიის გამოსვლას ამ მსოფლიო ომში გერმანიის მტერთა სასარგებლოთ, და რაოდენი ზიანი მოუტანა მისმა ღალატმა ავსტრო-უნგრეთს და მის მოკავშირეთ. ეს წერილი „Hamb. Tiemdenlaff“-ისა სავსებით მოჰყავს ბევრ სხვა გერმანულ გაზეთებს. წერილის შინაარსი ჩვენც საინტერესოდ მიგვაჩნია, რის გამო ვსთარგმნით მას ჩვენ გაზეთში.

სამმა წელიწადმა უკვე განვლო, სწერს ზემოხსენებული გაზეთი, მას შემდეგ, რაც იტალიამ თავის უწინდელ მოკავშირეთ უღალატა და ზურგიდან დაეცა მათ; მან ჯერ ავსტრო-უნგრეთს, შემდეგ კი გერმანიას გამოუცხადა ომი. ამის გამო უპირველეს ყოვლისა ავსტრო-უნგრეთი გახდა იძულებული 1915 წელს აღმოსავლეთ ფრონტიდან შესამჩნევად დიდი რიცხვი ჯარისა წამოეყვანა და იტალიის საზღვრებზე დაეყენებინა, რამაც მდინარე დუნაიცზე სამხედრო ოპერაციების წარმოება საგრძნობლად გააძნელა. შემდეგშიაც რუსეთის დამარცხება დაგვიანდა აგრეთვე იმის გამო, რომ ცენტრალურ სახელმწიფოთა ძლიერი ჯარი იტალიის ფრონტმა მოითხოვა. როდესაც 1916 წლის გაზაფხულზე, ავსტრიელებმა პირველად დაიწყეს შეტევა იტალიელების წინააღმდეგ და იტალიელი ჯარი ასიაგო და არსიგოს იქით გარეკეს, აისათვის საჭირო შეიქნა აღმოსავლეთის ფრონტზე სამხედრო ძალი შესუსტება. გარემოებით ისარგებლა ბრუსილოვმა და დაიწყო დიდი შეტევა, რომელსაც პირველ ხანებში რუსებისათვის დიდ-მნიშვნელოვანი შედეგი ჰქონდა; ავსტრო-უნგრეთმა კი იტალიელების წინააღმდეგ შეტევა შესწყვიტა, რათა ზედ-მეტი ჯარი, განსაკუთრებით მძიმე არტილერია, ისევე აღმოსავლეთ ფრონტზე გაეგზავნა. როდესაც გენერალმა კადორნამ 1916 წლის შემოდგომაზე ტრიესტის მიმართულებით ავსტრო-უნგრეთის ჯარის შუაზე გადაჭრა განიზრახა და მთელი 1917 წლის განმავლობაში ამასვე რაოდენჯერმე განმეორებით სცდილობდა და ზოგიერთი ადგილების დაკავებაც კი შესძლო, ავსტრიელებმა იტალიის ფრონტზე თავის ჯარი ბევრათ გააძლიერეს, რასაც ავსტრიისათვის, რასაკვირველია, არა სასურველი შედეგი ჰქონდა აღმოსავლეთ ფრონტზე. მხოლოდ 1917 წ. შემოდგომაზე, რუსეთის დამარცხების შემდეგ, ცენტრალურ სახელმწიფოებს მიეცათ საშუალება დაეწყოთ შეტევა, რასაც იტალიის პოზიციების გარღვევა მოჰყვა ფლიჩ-კარფრაი-ტალმეინის მიდამოებში და პიავით გათავდა და იტალიელების ორი არმია სრულიად დამარცხდა. ამან კი იტალიას შეტევის ძალა დიდი ხნით მოუსპო და ცენტრალური სახელმწიფოები სამხრეთ ფრონტის შესახებ სრულიად დამშვიდდენ და დარწმუნდენ რა იმაში, რომ მათ ამ მხრით საფრთხე აღარ მოელოდათ, უმთავრესი ყურადღება დასავლეთ ფრონტს მიაპყრეს.

მხოლოდ მარტო აქ ზემო-აღნიშნული ფაქტებით არ გათავებულა იტალიის გავლენა ამ მსოფლიო ომის მიმდინარეობაზე. ომის დასაწყისშივე იტალიამ, როგორც ვიცით, მეგობრული ნეიტრალიტეტი აღიარა ინგლის-საფრანგეთ-რუსეთის მიმართ, რამაც მისცა გენერალ ჟოფფრს საშუალება საფრანგეთის ალპის საზღვრებიდან და საზოგადოთ საფრანგეთის სამხრეთ ადგილებიდან ჯარი მარნასკენ გადაეყვანა, ახალი ჯარი შეედგინა და ძლევამოსილ გერმანიის ჯარისათვის წინააღმდეგობის გაწევა ხელ-ახლად ეწარმოებინა. მხოლოდ იტალიის ღალატით არის გამოწვეული დასავლეთ ფრონტზე ომის მსვლელობის ის ეტაპი, რომელსაც დღეს ჩვენ „მარნას ბრძოლას“ ვუწოდებთ.

იმის შემდეგ, რაც იტალია მიემხრო რუსეთ ინგლის საფრანგეთის მიეცათ კავშირს ამ უკანასკნელთ საშუალება, გაეგზავნათ სამშობლოს გარეთ ექსპედიციები, ეწარმოებინათ ხმელეთით სტამბულისაკენ შეტევა, გადმოესხათ ჯარი სალონიკში, წაეწიათ წინ მესოპოტამიაში და გაეტარებიათ შეტევა პალესტინაშიაც. ყველა ამისათვის იტალია წარმოადგენდა ბაზას და იფარავდა იმავე დროს ფლანგს. რომ იტილიას არ დაერღვია ნეტრალიტეტი და მით არ შეეწყვიტა ცენტრალურ სახელმწიფოებთან კეთილ-მეგობრული განწყობილება, ყველა აქ ჩამოთვლილ სამხედრო მოქმედებას ან სულ არ ექნებოდა ადგილი ან და ეს მოქმედებანი ყოველ შემთხვევაში მეტად ძნელ პირობებში იქნებოდნენ გატარებულნი. აგრეთვე საბერძნეთის წინააღმდეგ გამოსვლა, ალბანიაში ბრძოლა იმდენათ შესაძლებელი იყო, რამდენათ იტალია ამისთვის ბაზას იძლეოდა. ამნაირათ იტალიამ ამ მსოფლიო ომში ცენტრალურ სახელმწიფოთათვის საზარალო როლი ითამაშა, რითაც დრო გამოშვებით მათთვის მდგომარეობა სამძიმო ხდებოდა. ეს მომავალში არ უნდა იქნას დავიწყებული!

„ს. რ.“

## ეროვნული საბჭო.

(6 აგვისტოს სხდომა).

**გრძელდება კამათი ვეშაპელის შეკითხვაზე.**

**ფარნიაშვილი** (სოც.-დ.). თავის გრძელ სიტყვაში აღნიშნავს, რომ ეროვნულ-დემოკრატების შეკითხვა და მათი ახსნა-განმარტება ყოველ საფუძველს მოკლებულია. ის ამბობს, ვინც ვერ ხედავს, რომ მთავრობა არავითარ ზომებს არ იღებს ანარქიის ჩასაქრობათ, შემცდარია. მთავრობამ მიიღო სრულიად დამაკმაყოფილებელი ზომები.

**ირ. წერეთელი** (ს.-დ.). კითხვა ბევრისათვის არსებითად გამორკვეულია, მაგრამ მე მინდა შევეხო იმ კითხვას, რომელსაც არც ერთი ორატორი არ შეხებია. ეს არის ის, რომ ჩვენ ხშირათ გვესმის საყვედურები, რისთვის აძლევთ ეროვ.-დემოკრატებს ამდენ მნიშვნელობას და რათ ჰკარგავთ დროს მათთვისო.

სამწუხროთ, უნდა აღვნიშნოთ, ორმ ამ საყვედურებს აქვს თავისი საფუძველი; ეს არსებითად სიმართლეა. ჩვენი ცხოვრება დაქვეითდა, დაწვრილმანდა და ამის ნიშანი არის ის, რომ ერთადერთ ოპოზიციათ გამოდის ეროვ.-დემ. პარტია, პარტია, რომელსაც არ აქვს ღრმად გამდგარი ფესვები ჩვენში.

ეროვნულ-დემოკრატები ამბობენ, რომ ოსების გამოსვლას არსებითად აქვს ეროვნული ხასიათი, რომ მათი პოლიტიკური ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგება ჩვენსასო. თუ ეს უკანასკნელი ასეა, მაშინ ეროვ.-დემ. თვალთაზრისითაც ასეთი გამოსვლა სამართლიანი უნდა იყოს, რადგან თუ საქართველოს სურს თავის პოლიტიკურ თავისუფლების შენახვა, ეს სურს ოსეთსაც. მაგრამ ერ.-დემ. იმდენათ გაუწვრთნელი არიან პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ მთელ ერს ისეთ ბრალდებას უყენებენ, როგორიც არ წაუყენებიათ მთელი ერისათვის განათლებულ ქვეყნებში არც ერთ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ პარტიას. მაგალითად, ინგლისის ბურჟუაზია ებრძვის ირლანდიის თავისუფლებას, ირლანდიაში არსებობს ეროვნული მოძრაობა, რომელიც არ მოსწონს ინგლისის ბურჟუაზიას. მაგრამ ის ამ მოძრაობას არ ნათლავს ეროვნულათ, ის ბრალდებას არ უყენებს მთელ ერს.

გარიბალდის მოძრაობას იტალიაში ჰქონდა ჭეშმარიტი ეროვნული ხასიათი, მას მიზნათ ჰქონდა დასახული იტალიის განთავისუფლება, მაგრამ ამ მოძრაობის მოწინააღმდეგეთ არ მოუნათლავს ის ეროვნულ მოძრაობათ, რადგან ეს არ იყო ტაქტიკური. ეროვნულ-დემოკრატ. კი ისეთ მოძრაობას, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვს ეროვნულ მოძრაობასთან, უწოდებენ ეროვნულს და მთელ ოსობას ბრალს სდებენ აჯანყებაში.

არსებითად ამ მოძრაობას არა აქვს ეროვნული ხასიათი. ის არის შედეგი პროვოკატორების მუშაობისა, რომლებიც ავრცელებენ ხმებს, რომ რუსეთში სრული თავისუფლებაა, იქ პურიც იშოვება და სხ. და სწორეთ ამან აიყოლია ოსები, თორემ ისინი კარგათ გრძნობენ, რომ დამოუკიდებელი ცხოვრება მათ არ შეუძლიათ.

ეროვ.-დემ. კი ამ მოძრაობას ეროვნულათ ნათლავენ და ამით უნდათ გამოიწვიონ ეროვნული შუღლი და მტრობა ქართველებსა და ოსებს შორის.

## შკოლა და ცხოვრება.

**სახალხო შკოლა.**

ყველასათვის ცხადია, რომ სახალხო შკოლა არის ლამპარი ერისა, და ამიტომ მას უნდა ექმნას მიქცეული ყველაზე მეტი ყურადღება კეთილ-მოწყობილ სახელმწიფოში. ბუნებრივი იყო, როდესაც თვითმპყრობელობის დროს სახალხო შკოლა მივიწყებული და დევნილი იყო, იმიტომ რომ თვითმპყრობელობა და სინათლე ერთი მეორეს უარყოფენ. მაგრამ ყველას იმედი ქონდა, რომ თვითმპყრობელობის დამხობას სახალხო განათლების აყვავება მოყვებოდა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო სახალხო შკოლაზე და სახალხო მასწავლებელზე ზრუნვას უპირველეს მოვალეობათ დაისახავდა, მაგრამ არა ნორმალური შეიქნა ჩვენი ცხოვრება ამ ბოლო ხანებში და სახალხო განათლება ისევ მიჩქმალული დარჩა. იმ დიად მოვლენებმა, რომლებიც დღეს გადაიშალენ ჩვენს წინაშე სავსებით დაფარეს ეს საკითხი და არც არის იმედი, რომ ოდესმე ეს საკითხი შესაფერ ადგილს დაიჭერს მთავრობის პოლიტიკაში. წინეთ ყველა წუწუნებდა იმის გამო, რომ სახელმწიფოს ბიუჯეტის უდიდეს ნაწილს ადმინისტრაცია და სამხედრო საქმე ყლაპავდა. დღეს კი სწორეთ ისეთსავე მდგომარეობაში ვიმყოფებით. საერთო არევ-დარევამ იქამდის მიიყვანა ჩვენი. პატარა რესპუბლიკა, რომ ის არ ერიდება არავითარ ხარჯებს ამ არევ დარევის თავიდან ასაცილებლათ, მარტო ადმინისტრაციაზე 24 მილიონამდე იხარჯება. ამიტომ სახალხო განათლება არავის აღარ ახსოვს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ანარქია და ხალხის სიბნელე განუყრელი თანამგზავრნი არიან, რომ ყოველგვარი ანარქია იკვებება, იმ პოხიერი ნიადაგით, რომელსაც ხალხის სიბნელე წარმოადგენს, ჩვენთვის აშკარა იქნება, რომ სახალხო განათლების მივიწყება არ შეიძლება გავამართლოთ თუნდა იმავე ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებით. გადაავლეთ თვალი ჩვენს ქვეყანას. სადაც შკოლები ბევრია, იქ ანარქიაც სუსტია, ან სულ არ არსებობს; ქვემო იმერეთი, გურია და სხ. პირიქით, სადაც შკოლები ცოტაა—იქ ანარქია მძინვარებს და მისი სიძლიერე მატულობს ხალხის სიბნელის ზრდასთან შებრუნებული პროპორციით. ამიტომ ახლავე დიდი ყურადღება უნდა ჰქნეს მიქცეული სახალხო

შკოლების გამრავლებას და მათ უზრუნველ-ყოფას. ამასთან ნუ დაგვავიწყდება რომ ანარქიის ერთი მიზეზთაგანი არის ის გარემოება, რომ ინტელიგენციამ დასტოვა სოფელი და ქალაქებს მიაშურა, სოფელი დარჩა ხელმძღვანელს მოკლებული და შეიქნა კონტრ-რევოლიუციის აგენტების სათარეშო ასპარეზათ. ხომ გაგიგონიათ: უპატრონო ეკლესიას-ეშმაკები შეესიაო.

ასეთ პირობებში, სახალხო მასწავლებელი დიდ სამსახურს გაუწევს სახელმწიფოს, ის იქნება ხელმძღვანელი ხალხისა, ეს მას სჩვევია და ყოველთვის პირნათლათ შეუსრულებია ეს დიადი მისია. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სახალხო მასწავლებელი იქმნეს უზრუნველოფილი.

იმ გროშებით, რომელსაც ის დღეს იღებს ხაზინიდან (ფუთ-ნახევარი ფქვილის ფასია). არ შეუძლია გამოკვებოს ცოლ-შვილი. ეს დღესავით ნათელია ამიტომ ის თავს ანებებს სამსახურს, ან მიდის ქალაქში და სხვა საქმეს ეძებს, ან და შინ ბრუნდება და მეურნეობას კიდებს ხელს, რასაკვირველია, ვისაც ნაჭერი მიწა აქვს. მე ვიცი ბევრი მასწავლებელი, რომელთაც მიატოვეს სასწავლებელი და სხვა და სხვა კომიტეტებში მსახურებენ, ზოგმა ვაჭრობასაც მოკიდა ხელი და ზოგმა მეურნეობას. ეს გასაგებია, ვინაიდან როგორც რუსები იტყვიან „голодъ не тетка“.

ახლა ამას დაუმატეთ ის გარემოება, რომ სახალხო მასწავლებელი ამ ცოდვილ გროშსაც ვერ იღებს თავის დროზე. სახალხო განათლების მინისტრმა დეპეშები მიიღო გურიის რაიონის მასწავლებელთაგან, რომელნიც მოახსენებენ მინისტრს თავის ტანჯვა-გაჭირვებას ჯამაგირების მიუღებლობის გამო და სთხოვენ სასწრაფო დახმარებას, რათა მიეცემათ თებერვლის, მარტის, აპრილს, მაისს, ივნისის და ივლისის ჯამაგირები. ანალოგიური დეპეშა მიიღო მინისტრმა ოზურგეთის მასწავლებ. კავშირისაგან. კომენტარიები ზედმეტია

როგორც ხედავთ, მასწავლებლებს ჯერ თებერვლის ჯამაგირები არ მიუღიათ. აი ამას ეწოდება იობის მოთმინება. ამას შემდეგ გასაგებია მასწავლებელთა გაქცევა და სოფლის და შკოლების დაცალიერება. ეს სამწუხარო მოვლენაა ჩვენი დუხჭირი ცხოვრებისა და ამას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. უწყოდეს ყველამ, რომ მასწავლებელს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სოფლათ, ვინემ კომისარს და მის ხუთ მილიციონერს. და ამ უკანასკნელებზე ხაზინა თვეში 1850 მანეთს ხარჯავს. მდგომარეობა უცვლელი რჩება: სოფლის მილიციონერი იღებს თვეში 220 მან სოფლის კომისარი—300 მან. სოფლის მასწავლებელი კი—210 მანეთს და იმასაც არ აძლევენ თავის დროზე. ბევრი რამ არის არანორმალური ჩვენს რესპუბლიკაში, მაგრამ ამ არანორმალურ მოვლენათა შორის მასწავლებლის მდგომარეობას პირველი ადგილი უჭირავს. ამიტომ მას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. საჭიროა ერთხელ და სამუდამოთ დაინგრეს იერიქონის კედელი.

საჭიროა რადიკალურათ შეიცვალოს სახალხო მასწავლებლის მდგომარეობა ისე, როგორც შეეფერება უფლებრივ სახელმწიფოს, თორემ ასეთი მდგომარეობა კატასტროფამდე მიიყვანს ჩვენს სახალხო განათლებას და მაშასადამე მთელს ჩვენს ერსაც.

დაყოვნება დანაშაულს უდრის.

ფარი.

## კურსები საშუალო შკოლის მასწავლებელთათვის

1 აგვისტოდან ქ. თფილისში, კადეტთა კორპუსის შენობაში გაიხსნა ორთვიანი კურსები საშუალო შკოლის მასწავლებელთათვის. უნდა ითქვას, რომ ეს კურსები დიდათ საჭირო და მნიშვნელოვანია, ვინაიდან რუსული შკოლა არ გულისხმობდა ქართველი მასწავლებლების არსებობას, და არც გვყავდა ასეთები სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ამიტომ შკოლის გაეროვნებას ჩვენში სხვა ბევრ დაბრკოლებასთან ესეც წინ გადაეღობა. საჭირო იყო შექმნა ქართველ მასწავლებელთა კადრისა და სწორეთ ამ მიზანს ემსახურება ეს კურსები. ლექციებს ესწრება ორასამდი მასწავლებელი, მხოლოთ უნდა ითქვას, რომ ეს ლექციები ჯერჯერობით ერთფეროვარო ლექციები სხვადასხვა დარგებიდან, ვინაიდან ტერმინოლოგია სხვადასხვა სპეციალურ საგნებში აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ქართველ მასწავლებლისთვის. ეს ტერმინოლოგია არც იმდენათ არის საჩქარო ფსიხოლოგიიდან, როგორც თუნდ, მაგ. ბუნების მეტყველებიდან, მათემატიკიდან, ისტორიიდან და სხ. ამ მხრივ საჭიროა საჩქაროთ გადაიდგას ნაბიჯი. მეორე მხრით საყურადღებოა შემდეგი გარემოება, რაც, რასაკვირველია, შეადგენს არა კურსების იდეურ მხარეს, არამედ ტეხნიკურს. საქმე ის არის, რომ კურსები გაიხსნა ორი ტიპის: საშუალო და სახალხო სასწავლებლის მასწავლებელთათვის ცალ-ცალკე. პირველი ტიპის კურსებზე ამზადებენ მასწავლებლებს პირველდაწყებითი შკოლებისათვის. მაგრამ დარჩა ერთი საფეხური შკოლისა, რომელიც სულ დაავიწყდათ. ეს არის მაღალი სახალხო შკოლა (Высшія Начальныя училища). თუ გავითვალისწინებთ პროგრამას ამ შკოლებისას, დავრწმუნდებით, რომ ის ეთანასწორება საშუალო სასწავლებლის 4 კლასის პროგრამას. იქ გადიან მთელს არითმეტიკას, ალგებრის ნაწილს, გეომეტრიას, მსოფლიო ისტორიას, საკმაოთ გადიან ბუნებისმეტყველებას, ფიზიკას და სხ. ე. ი. ყველა იმ საგნებს, რომლებიც გიმნაზიებში ისწავლებიან. განსხვავება არის მხოლოთ რიცხვითი, მაშასადამე ცოდნა ამ საგნებისა, მათი ტერმინოლოგიისა ისევე საჭირო და აუცილებელია ამ ტიპის შკოლათა მასწავლებელთათვის, როგორც საშუალო შკოლის მასწავლებელთათვის. ამ მხრით პირველდაწყებითი შკოლის მასწავლებელთათვის გახსნილი კურსები იმ მასწავლებელთ სრულებით ვერაფერს მისცემს. და ბუნებრივია ასეთ მასწავლებელთა ლტოლვა საშუალო შკოლის მასწავლებელთა კურსებისაკენ. მაგრამ, რა თქმა უნდა ფორმალური მოსაზრებით, ვინაიდან ეს კურსები მხოლოთ საშუალო შკოლებს შეეხება, ასეთ მასწავლებელთ უარს ეუბნებიან; მართალია, რაოდენიმე ჩარიცხეს, მაგრამ ეს იყო შედეგი უფრო დაჟინებითი მოთხოვნისა და იმ გარემოების, რომ საშუალო შკოლის მასწავლებლები ცოტა გამოცხადდა და თავისუფალი ადგილი ბევრი იყო. მეორე მხრით, მიუხედავათ იმისა, რომ ქონებრივათ საშუალო შკოლის მასწავლებლები გაცილებით უფრო უზრუნველყოფილნი არიან, ვიდრე მაღალი სახალხო შკოლის მასწავლებლები, მიუხედავათ ყველა ამისა, პირველნი დაუბრკოლებლივ ირიცხებიან სახაზინო ხარჯზე და ეს მეორე უფრო ღატაკი ნაწილი კი რჩება ამ დახმარებას მოკლებული. ეს რასაკვირველია, არ არის სამართლიანი და წინდაუხედაობის ბრალია. საქმის გამოსასწორებლათ საჭიროა, რომ დაცულ იქმნას კანონის მოთხოვნილება, რომელიც ამბობს: „დიეტა და გზის ფული არ მიეცემა ადგილობრივ მცხოვრებთო“. დანარჩენები კი, ვინც პროვინციებიდგან არიან მოსული, აუცილებლათ უნდა მიეცეთ დახმარება სულ ერთია იქნებიან ისინი საშუალო შკოლის თუ მაღალი სახალხო შკოლის მასწავლებლები. საჭიროა განსაკუთრებული ზრუნვა ისეთი შკოლებისათვის, რომლებიც დემოკრატიას ემსახურებიან.

მანი.

## მოსაზრებანი

### სწავლა-განათლების სამინისტროსი რესპუბლიკის შკოლების გაეროვნების შესახებ.

უმთავრესი საფუძველი კულტურულ ცხოვრებისა. ენაა სამშობლო ენა, ეს ის ნიადაგია, რომელზედაც აღმოცენდება ნორმალური, კულტურული ზრდა და განვითარება ხალხისა. ამიტომ სწავლა-განათლება ხალხისა უსათუოდ სამშობლო ენაზე უნდა იყოს მოწყობილი.

საქართველოში ამ უკანასკნელ დრომდე სწავლა განათლების საქმე ისე იყო დაყენებული, რომ სკოლა სრულიადაც არ ემსახურებოდა პედაგოგიურ იდეების გახორციელებას. ის კი არ ზრდიდა ხალხს, პირიქით ანადგურებდა იმას, რასაც თვით ბუნება უხვად აძლევდა ქართველ მოზარდ თაობას. ქართული ენა დევნილ იყო სახელმწიფოსაგან—იმის მაგიერ, რომ სკოლა აღორძინებინათ, სკოლა საქართველოში პოლიტიკურ ექსპერიმენტების წყაროდ გაიხადეს. რევოლიუციამ კულტურული თავისუფლება მოგვანიჭა და სწავლა-განათლების ერთი უმთავრესი პრობლემათაგანი, ეროვნულ სკოლის შექმნა-პოლიტიკურ ნიადაგზე დაამყარა. ერთი წელია, რაც ამ დიად მნიშვნელობის საქმის განსახორციელებლად პირველი გაბედული ნაბიჯი გადაიდგა, დღეს უნდა გადავსდგათ მეორე და უკანასკნელი ნაბიჯი—ყოველ მიზეზების გარეშე უნდა დავსძლიოთ სუყველაფერი დაბრკოლება და უნდა მოვაწყოთ ეროვნული სკოლა ყველა საფეხურისა და ხარისხისა, როგორც საზოგადო განათლებისა, ისე საპროფესიო.

აქ საინტერესოა გავითვალისწინოთ ის, თუ რის გაკეთება მოხერხდა ამ ერთი წლის განმავლობაში საქართველოში სწავლა განათლების საქმეში. უნდა აღვნიშნოთ, რომ პირველ დაწყებით სახალხო სკოლებში, მთელს საქართველოს ტერიტორიაზე, უკვე განხორციელებულია სამშობლო ენაზე სწავლება. რაც შეეხება პირველ დაწყებითი უმაღლეს სკოლებს, უნდა ვაღიაროთ, რომ ამ სკოლებში ეგრედ წოდებული ნაციონალიზაცია, სხვაგვარად რომ ვსთქვათ—სწავლება სამშობლო ენაზე, სავსებით განხორციელებულია დასავლეთ საქართველოში და მხოლოდ პირველ კლასში აღმოსავლეთ საქართველოში. საშუალო სკოლებში კი მდგომარეობა ამ გვარია: დასავლეთ საქართველოში პირველ ოთხ კლასში სწავლება სამშობლო ენაზე უკვე ფაქტია; აღმოსავლეთ საქართველოში ეს შეუძლებელი შეიქმნა და, როგორც საქართველოს თვით დედა ქალაქში, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს პროვინციებში, მხოლოდ მოსახერხებელი შეიქმნა განყოფილებებში სამშობლო ენაზე სწავლება და ამ შემთხვევაშიაც ზოგიერთ გიმნაზიებში, მხოლოდ საანბანო და პირველ მოსამზადებელ კლასებში მოეწყო ქართულ ენაზე სწავლება.

არ შეიძლება აქვე არ შევნიშნოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებობს რამოდენიმე საშუალო სასწავლებელი, სადაც სწავლება სამშობლო ენაზე განხორციელებულია პირველ კლასიდან უკანასკნელამდე, მაგრამ ეს საერთო მდგომარეობას არსებითად არ სცვლის. საშუალო სასწავლებლებში დასავლეთ საქართველოში, ეგრეთ წოდებული პროგიმნაზიულ კლასებში (ეს კლასებში უდრიან უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლებს) სწავლება სამშობლო ენაზეა, აღმოსავლეთ საქართველოში სწავლება სამშობლო ენაზე საშუალო სკოლებში, შეიძლება ვსთქვათ, არ დაწყებულა.

განათლების სამინისტრო ფიქრობს, რომ მომავალ სამოსწავლო წლიდან სწავლება სამშობლო ენაზე უნდა გახდეს სავალდებულო არა მარტო სახალხო პირველ-დაწყებით სკოლებში, არამედ უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლებშიაც. მართალია ამაზე ბევრ სერიოზულ დაბრკოლებას შევხვდებით: აქ შესაძლებელია მიგვითითონ პედაგოგიურ თანდათანობაზე; მოზარდ-თაობის ინტერესის დაცვისათვის შეუძლებლად დაინახონ ამ გვარი ნაბიჯის გადადგმა, ვინაიდან დიდ სიძნელეს წარმოადგენს ამ გვარი რეფორმა სწავლა განათლებისა მოზარდ თაობისათვის, აქ შეიძლება მიგვითითონ სასახელმძღვანელოების და საერთოთ წიგნის უქონლობაზე, აღნიშნონ აგრეთვე ჩვენი მასწავლებლების მოუმზადებლობა ენის მხრივ ამ დიდ რეფორმის განხორციელებისთვის და სხვა. განათლების სამინისტროს აზრით უნდა მოსპობილ იქმნეს ის უკულმართობა, რომელიც ასახიჩრებდა ჩვენ მოზარდ თაობას და ჩვენ სამშობლო ენას, ლიტერატურას და მეცნიერებას, ერთი სიტყვით, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრების ნორმალურ განვითარებას ზედმეტად აფერხებდა; შეუძლებელია ჩვენ ვითომდა პედაგოგიურ თანდათანობის დაცვისათვის გადაგვარების პოლიტიკას შემდეგშიაც ვემსახუროთ. რაც შეეხება სახელმძღვანელოების უქონლობას, სამინისტრო სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ამ მხრით ბევრი რამ არის გაკეთებული ამ ბოლო დროს არა ერთი სახელმძღვანელო დაისტამბა, ბევრი დამზადებულია და სასწრაფოდ იბეჭდება და სამინისტროს აქვს უტყუარი ცნობები, რომ მომავალ სასწავლო წლიდან საშუალო სკოლას თითქმის ყველა სახელმძღვანელოები ექნება. გარდა ამისა განათლების სამინისტროს აზრათ აქვს სთხოვოს ეროვნულ საბჭოს გადასდოს ამ საგნისთვის შესაფერისი ხარჯი შეუწყოს და დააჩქაროს არა მარტო სახელმძღვანელოების გამოცემის საქმე, არამედ, სკოლისათვის აუცილებელი საყმაწვილო ლიტერატურის შექმნა სამშობლო ენაზე.

## პროვინცია.

### ზუგდიდი.

ზუგდიდის ქალაქის თვითმართველობა ყურადღებას არ აქცევს ხალხის ჯანმთელობას. ქალაქის ქუჩები უსუფთაოთაა დატოვებული. ქუჩებზე ათასნაირი მავნე ნივთები ყრია, რაიც აფუჭებს ჰაერს და შეიძლება ამის გამო რაიმე სენი მოედოს ქალაქს.

გარდა ამისა თვითმართველობა და არც აღმასრულებელი კომიტეტი ყურადღებას არ აქცევენ ფოსტის მდგომარეობას.

თითქმის თვე თავდება, რაც უფოსტოთ ვართ და ამდენი ხანი ვერ შევძელით სენაკიდან მისი გადმოზიდვა.

საჭირო იყო ადგილობრივ თვითმართველობას ყურადღება მიექცია ამისთვის და მოეწესრიგებინა ეს საქმე.

ბოლშევიკურ მოძრაობის გამო ქალაქში სურსათ-სანოვაგე თითქმის არ ჩამოაქვთ. ფუთს ფქვილს 100 მანეთად თუ იშოვნი. გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩავარდენ სახელმწიფო მოსამსახურეები რომელნიც ჯამაგირს თითქმის აგერ ორი თვეა რაც არ ღებულობენ.

სახელმწიფო მოსამსახურენი აქ ასამდე ითვლება. მაგრამ მათ ჯერ აქ კავშირიც ვერ შეუკრავთ, კრებაც ვერ მოუხდენიათ, რომ თავის ინტერესებზე, თავის გაჭირვებაზე ხმა ამოიღონ, რამე სთქვან.

მთავრობის ჯარი ბოლშევიკების საწინააღმდეგოთ ჩამოყვანილი აქ დგას და იცავს ქალაქს.

ივლისის 31 მაზრის კომისარი და ერთი ფედერალისტი ე. ჯიჯოლავა ქალაქის მახლობელ ადგილზე დაიბარეს. სოფლელებმა შეუთვალეს 25 კაცი ვართ, იარაღს ვყრით და როგორ მოვიქცეთ—გვასწავლეთო. ორივენი წასულან, მაგრამ მისვლისთანავე დაიჭირეს და ბოლშევიკების შტაბში წაიყვანეს.

ადგილობრივმა მთავრობამ დაიჭირა ყოფილი მაზრის კომისარი თოლორდავა, რომელსაც სხვადასხვა ბნელი საქმეები ბრალდება.

ჯერ-ჯერობით ქალაქში სიმშვიდეა, მაგრამ ხალხი მაინც შიშითაა მოცული და ვერ კამორკვეულა.

უჩა.

### ზუგდიდის მაზრა.

**დ. ანაკლია.** განარჯიას მუხურელი ბოლშევიკები გაღმიდან ხშირად გადმოდიან მდინარე ინგურზე და თავს ესხმიან ანაკლიელ მცხოვრებლებს.

30 ივლისს ისინი თავს დიესხენ ანაკლიას. გაძარცვეს დაბა და გაიქცენ. დაბის კომისარი გეგენავა ენერგიულად ემსახურება მცხოვრებთ და შეძლებისდაგვარად იცავს მათ.

**ხ. კახათი.** სხვა სოფლები თითქმის ყველა ანარქიამ მოიცო. კახათმა კი სიწყნარე დაიცვა და თავი შეიკავა ამ არეულობისაგან. ივლისის ბოლო რიცხვებში აქ მოხდა საზოგადოების კრება. ასარჩევი იყო კომისარი. აირჩიეს ესერი, რომელსაც დიდი ნდობა აქვს ხალხში.

**კოკი.** როგორც კახათი, ეს სოფელიც სრულ სიწყნარეს იცავს. ხალხი მუშაობს. მხოლოდ ახლა გახდენ უკმაყოფილო, როცა მაზრის კომისარმა სოფლის კომისრათ ზევიდან არა სასურველი პირი დააყენა.

**აბასთუმანი—ნარაზენი.** ამ ორ სოფელში ბოლშევიკებმა ბუდე გაიკეთეს. აქ თავმოყრილია მთელი მათი ძალა და აქედან თავს ესხმიან სხვადასხვა სოფლებს. ხალხი არ ემორჩილება მათ, მაგრამ ტერორს-ქვეშ უყვა.

ბოლშევიკებს არავინ იარაღს არ ყრის. მთელი მაზრა მოითხოვს საერობო არჩევნებს, შემდეგ ახალ არჩეულ მთავრობას იარაღსაც ჩავაბარებთ და მას დავემორჩილებითო.

მაგრამ სტოლიპინები აქაც გაჩნდენ. „ჯერ დაწყნარება, მერე რეფორმები“-ო ამბობენ ისინი. ამით ხალხი მეტათ უკმაყოფილოა.

ხალხი მაშინ აიხსნის იარაღს, როცა რეფორმებს დაინახავს.

რაში.

## გაზეთის ფონდი.

გაზეთ „შრომის“ ფონდის გასაძლიერებლათ შემოსწირეს: ფ. კობახიძემ 25 მ., ვანო კობახიძემ 5 მ., ვ. გოზანაშვილიმა 1 მ., ალ. პაპუაშვილიმა 1 მ., სან. ბერიშვილიმა 1 მ., პ. კიკნაველიძემ 3 მ., X-მა 3 მ., ს. გაჩეჩილაძემ 3 მ., ყარ. საყვარელიძემ 3 მ., კ. რუხაძემ 3 მ.

სულ 52 მ.

## წერილი რედ. მიმართ.

ამხ. რედაქტორო! ქთხოვთ თქვენ გაზეთის ფურცელზე შემდეგი გამოაცხადოთ: ბათუმში ყოფნის დროს სოც.-რევ. პარტიის ქუთაისის ორგანიზაციამ მომანდო მე გაზეთისთვის ფულის შეგროვება. რადგანაც უკანასკნელ ხანებში ბათუმში დიდი არევ-დარევა არსებობდა, ფულის შეგროვება სასურველად არ ჩატარდა და ამისთვის მოგროვილ იქმნა მხოლოდ ას მანეთზე ცოტა მეტი, მაგრამ ამ უკანასკნელის გამოგზავნაც შეუძლებელი დარჩა: ფული მე მქონდა, მოწმობა კი სხვა ამხანაგს, რომელიც ბათუმში დარჩა, როცა უკანასკნელი თათრებმა ხელში ჩაიგდეს. დღეს მივიღე საჭირო ქაღალდი, რომლის ძალით შემდეგ ამხ. არის ფული შეგროვილი: სარდაროვი 3 მ., კირ. თავბერიძე 5 მ. კილაძე 10 მ., ნ. ავდეევი 1 მ., სოგოიანი 3 მ., ოლღა კილაძე 3 მ., კულიკ 1 მ., ბულგაკოვი 10 მ., კრასევიჩი 3 მ., გადელია პ. 1 მ., პაშკოვი ან. 1 მ.. მელქაძე ილ. 2 მ., დემენტევი 50 კ. ნიკიფოროვი 2 მ., ბახტაძე 1 მ., კლიაკინი 5 მან. კაკაბაძე ივ. 5 მ., ტავამაიშვილი 3 მ. მახარაძე შალ. 5 მ., თამარა ბახტაძე 2 მ., ნინა არჩაია 3 მ., პ. თევართქილაძე 2 მან., გოგეშვილი 3 მ., აშკინაზი 3 მ., კარპოვი მ. 3 მ., ქლენტი ნოე 3 მ., ლორთქიფანიძე ნ. 3 მ., ოგულავა 4 მან., ხარჩენკო 3 მ., მელკუმოვი 5 მან., ელიაძე ალ. 5 მან., ოკიტაშვილი ვ. 5 მან. სულ 107 მან. 50 კ.

ს. კილაძე.

რედაქციამ ეს ფული სრულათ მიიღო.

რედაქტორი სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი ცენტრალური კომიტეტი.

## მატარებლების მიმოსვლა

1918 წლის 1 ივლისიდან.

**ტფილისიდან ფოთისაკენ.**

№ 61 მცხეთამდე — დილის 8 საათზე.
№ 23 ფოთამდე — „ 10 „
ბორჯომამდე—ნაშუადღევის 3 ს. 25 წ.
ქუთაისამდე — საღამოს 9 ს. და 10 წ.

**ტფილისიდან განჯისაკენ.**

№ 4 განჯამდე — დილის 7 ს. და 5 წ.
№ 32 სავოლამდე დილის 3 „ და 56 „

**ტფილისიდან კარაკლისამდე.**

№ 4 კარაკლისამდე — დღის 1 საათზე.

**ტფილისიდან კახეთში.**

საფოსტო გადის დილის 8 საათზე.

მიიღება ხელის მოწერა ყოველ-დღიურ გაზეთ
„შ რ ო მ ა“-ზე
გაზეთი ღირს ერთი თვით 9 მანეთი.
მისამართი: ტფილისი, ჭავჭავაძის ქუჩა № 4 გაზეთ „შრომის“ კანტორა.

თბილისი, სტამბა ქართველთა ამხანაგობისა, გოლოვინის ქუჩა № 26.